ცნობის ფურცელი

№ 1711 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 სამშაბათი, 29 იანვარი № 1711

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურცლის" რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе" **ტელეფონი № 372.**

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე"

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით . .	10 მ.	1 წლით . .	13 მ.
6 თვით . .	6 „	6 თვით . .	7 „
3 „ . .	3 „	3 „ . .	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით . .	6 მ.	1 წლით . .	9 მ.
6 თვით . .	5 „	6 თვით . .	7 „
1 „ . .	75 კ.	1 „ . .	90 „

ვინც „**მოამბე**"-ს მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატება** და „**ცნობის ფურცელი**" უფასოდ გაეგზავნებად, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი №** 372.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели."**

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდეს 1½—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ღამ-ღამობით ექიმების მორიგეობაა, ღამის 9 საათიდან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი"-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ხმა დადის, მეფე ედუარდ VII-ემ მალბოროს სასახლეში ბალფური და როზბერი მიიღოო. მეფეს იმის გაგება უნდოდა, თუ კონსერვატორები და ლიბერალები რა აზრისა არიან და როგორ უყურებენ სამხრეთ-აფრიკის ომსა და ზავის საქმესაო.

✿ ბალფურმა მოახსენა პალატას, რომ მთავრობას განზრახვა აქვს, მნაირად შესცვალოს პალატის წესდება: პალატის სხდომა ნაშუადღევის 2 საათზე დაიწყება და საღამოს 8 საათამდე გასტანს. მერე პალატა ერთს საათს შეისვენებს. საღამოს 9 საათზე სხდომა ისევ დაიწყება და ღამის 12 საათამდე და, შეიძლება 1-მდეც გასტანოს. დეპუტატებს მხოლოდ ზოგიერთ, სასტიკად განსაზღვრულ შემთხვევაში აქვთ უფლება, მოითხოვონ, რომ კენჭის ყრა მოხდეს. პალატის თავმჯდომარეს უფლება აქვს, როცა კი საჭიროდ ჩასთვლის, სხდომა დახუროს. პალატას ნება აქვს, დეპუტატები უფრო დიდის ხნით გამორიცხოს, სინამ ეს აქამდე იყო. ერთის სიტყვით ახალი წესდება ძლიერ ჰგავს ევროპის პარლამენტების წესდებას.

ოპოზიციის სურვილის თანხმად, ახალი წესდების განხილვა რამდენიმე ხნით გადაიდვა იმ აზრით, რომ დეპუტატებმა წესდების შესწავლა მოასწრონ.

✿ დეპუტატთა პალატის სხდომაზე 18 იანვარს სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა დამატებითი კრედიტი, ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგი, მოითხოვა სამხედრო საქმეებისათვის. ამავე დროს მინისტრმა საინტერესო ცნობები მოახსენა პალატას იმის თაობაზე, თუ ან რამდენა ხარჯი მოუნდა ომსა და ან რანაირად მიდის ამ ჟამად სამხრეთ-აფრიკის ომის საქმე.

1900—1901 ფინანსიურ წლის განმავლობაში ომი 63 მილიონ გირვ. სტერლინგად დაუჯდა ინგლისს, 1901—1902 წ. განმავლობაში კი—61 მილიონი გირვანქა. სამხრეთ-აფრიკაში მუდმივ 250.000 ჯარის კაცი გვყავდა, საშუალოდ თვეში 24,000 ცხენს ვეიდუღობდით, 280,000 ინგლისელს ჯარის კაცს, 30,000 ხარს, 27,000 ტყვეს 150,000 (?) ბურს ვკვებავდით. ამიტომ დიდი ფული დასჭირდა სამხრეთ-აფრიკის ომს. მას აქეთ, რაც კიტჩენერმა ყველგან ბლოკჰაუზები (პატარ-პატარა სიმაგრეები) გამართა, ჩვენი საქმე კარგად წავიდა: ტრანსვაალშიაც და ორანჟეს რესპუბლიკაშიაც ბევრგან სრული მშვიდობიანობა აღვადგინეთ. იოჰანესბურგში გაჭრობა და ყველა საქმეები ხელ-ახლად გაჩაღდა. ინგლისელების წინააღმდეგ ეხლა სამი რაზმი იბრძვის: ბოტასი, დევეტისა და დელარეისა. ყველაზე ძლიერი ამათში დევეტის რაზმია. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ეს სამივე რაზმი ძალაუნებურად შეერთდეს და ყველას ერთად შევებრძოლოთო.

✿ გამოჩენილმა ლიბერალმა მინისტრად ნამყოფმა ჯონ-მორლეიმ ამ დღეებში უდლსლების ნადიმზე სიტყვა წარმოსთქვა. მორლეიმ მეტად გაკიცხა ლორდ როზბერის პოლიტიკა და სთქვა, თუ ლიბერალური დასის წინამძღოლად როზბერი გახდება, მაშინ მე უსათუოდ გავალ ამ დასიდანაო. ორატორმა გადაჭრით უარ-ჰყო როზბერის პოლიტიკა და გამოაცხადა, რომ წინანდებურად ლიბერალური დასის ძველ პრინციპებს (დედა აზრებს) მივსდევო. დასასრულ მორლეიმ დასძინა. მეც და ჰარკორტიც ჩვენ წინამძღოლად ისევ კემპბელ-ბანერმანსა ვსთვლითო.

✿ დეპუტატთა პალატა ლოთობის წინააღმდეგ შედგენილი კანონ-პროექტის განხილვას შეუდგა. ამ პროექტის ძალით, ვინც ძლიერ დაითვრება, დიდ დამნაშავედ ითვლება და კანონით ისჯება.

ვისაც 7 წლისაზე ნაკლები ხნის ბავშვი ჰყავს გასაზრდელი, თუ ძლიერ დაითვრა, იმას ან ორი გირვანქა სტერლინგი ჯარიმა გადაჰხდება, ან არა და ერთის თვის ვადით ციხეში ჩაისმება. ვინც ნიადაგ ლოთობს, იმათ ლოთების სავადმყოფოებში ჩაჰსვმენ. თუ ლოთი კაცი სიმთვრალის დროს რაიმე დანაშაულს ჩაიდენს, იმას აეკრძალება, რომ სამი წლის განმავლობაში მაგარი სასმელი იყიდოს, და თუ იყიდა, კანონით დაისჯება. ამ კაცის სახელს ყველა სასმლის გამყიდველებს შეატყობინებენ და თუ გამყიდველმა გაბედა და მაგარი სასმელი კიდევ მიჰყიდა, დაისჯება. თუ მიკიტანმა მთვრალს კაცს მიჰყიდა მაგარი სასმელი, მაშინ მიკიტანი დაისჯება და შეიძლება მაგარი სასმელების გაყიდვის ნებაც აღარ მიეცეს. პოლიცია მოვალეა ლოთი კაცების ცოლებს და აგრეთვე ლოთი დედა-კაცების ქმრებს დახმარება გაუწიოს. კლუბების თაობაზე განსაკუთრებული წესები იქნება დაწესებული. ინგლისის კანონის ძალით კლუბები, ისე როგორც კერძო სახლები, პოლიციას არ ექვემდებარებიან. ამიტომ ხშირად ხდებოდა, რომ კლუბების მაგიერ სასმელების დუქანს აღებდნენ. მუშტარიც ან კლუბის წევრად ეწერებოდა, სხვისა სახელზე, ან უბრალო სტუმრად. ახალი პროექტის ძალით, ყველა კლუბები სიაში უნდა ჩაიწერნენ და მოვალენი არიან. ყოველ წელს თავიანთ წევრების სიები და თავიანთ წესდება პოლიციას გაუგზავნონ ხოლმე; თუ ვინმე ფიც ქვეშ იტყვის, რომ კლუბში ურიგო ამბები ხდებაო, სასამართლოს შეუძლიან კლუბში პოლიცია გაგზავნოს და გამოძიება მოახდენინოს.

ფელეტონი

სიტყვა-კაზმული მწერლობა 1901 წ.

(შემდეგი *)

ბ. ლალიონის მოთხრობის შემდეგ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ გასულს წელს „მოამბის" პირველსა და მეორე ნომერში დასტამბული მოთხრობა ქ. ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი „კერა". ჩვენს ახალგაზრდა მწერალ ქალს თავის ნაწარმოებისთვის ამ ჟამად მასალა გლეხთა ცხოვრებიდან აქვს აღებული, მაგრამ იმას მაინც არავითარი ერთობა და კავშირი არ ეტყობა იმ ოდესღაც ჩვენს ლიტერატურაში დიდად და დიდად გავრცელებულს მიმართულებასთან, რომელმაც სამართლიანად მოიხვეჭა „ტეტიათა მოტრფიალების" სახელი და რომლის ტიპიურ წარმომადგენლებადაც შეგვიძლიან დავასახელოთ სოფ. მგალობლიშვილი და ნიკ. ლომაური. ტეტიათა მოტრფიალეების აზრით, გლეხის გულუბრყვილობა რაღაც იდეალური უმანკოებაა და გლეხის ცხოვრება იდილიური მშვენიერება. თავის დროზე ამ მიმართულებას ღრმა და მტკიცე საფუძველი ჰქონდა. მაშინ ბატონყმობის პრინციპზე დამყარებულს წესს საზოგადოებრივის ურთიერთობისას ისე უცქეროდნენ, როგორც თვით ბუნებისაგან დადგენილს სამართლიანობას, და აი ეს უკუღმართი წარმოდგენა აუცილებლად უნდა დაერღვია ჩვენს მწერლობას; დიდის ხნის ძილის შემდეგ ახლად გამორკვეულმა და გამოფხიზლებულმა აზრმა ერთთავად უარჰყო ძველი შეხედულება და თამამად დაუპირდაპირა იმას თავისი ახალი წარმოდგენა გლეხის შესახებ, რომელიც რამდენადმე ცალმხრივი და ზომიერების საზღვარზე საკმაოდ დაშორებული აღმოჩნდა. დღეს ტეტიათა მოტრფიალებას raison d'être აღარა აქვს და არც ქ. ხოშტარია მისდევს ამ მოძველებულს მოძღვრებას. ჩვენი მწერალი ქალი მართალია თითქმის მხოლოდ გლეხთა ცხოვრებაში ეძებს მასალას თავის უკანასკნელის მოთხრობისათვის, მაგრამ გლეხ-კაცს ის იდეალურ არსებად არა ჰსახავს, პირიქით, იმისი გლეხი ხანდახან იშვიათს სისასტიკეს და გასაოცარს გულქვაობასაც იჩენს. ჩვენს დროში გლეხების ცხოვრების აღწერას პოეტურის ფორმებით ორგვარი მნიშვნელობა და ღირსება აქვს. პირველი ის, რომ ამ საშუალებით მწერალი მკითხველს საზოგადოებას გლეხ-კაცობის ზნე ჩვეულებას აცნობებს, და მეორე, რომელსაც ჩვენის აზრით ბევრად უფრო მეტი ფასი აქვს, ის, რომ ადამიანის სულიერ განწყობილების სხვა-და-სხვა მომენტებს და გულის თქმას ბელლეტრისტი აქ ახალის გარეგნულის სამკაულით ჰმოსავს, ახალს ინტერესს აძლევს და ამნაირად საყოველთაო მოტივების დასუთათებით სულიერს კავშირს ამყარებს გლეხსა და მკითხველს შორის. ხელოვნება საერთოდ და კერძოდ სიტყვა-კაზმული მწერლობა შემაკავშირებელი, შემაერთებელი ძალაა; მოხდენილი ხელოვნური ფორმა, თუ იმას შინაარსიც ხელს უწყობს, მკითხველის გულში ყოვლის უწინარეს იმავე სულიერს განწყობილებას იწვევს, იმასვე აგრძნობინებს და აფიქრებინებს, რასაც ხელოვნურის ნაწარმოების გმირები ჰფიქრობენ და ჰგრძნობენ; ამ გარემოების ძალით თითქოს დროებით მაინც სრულიად ირღვევა ის კედელი, რომელიც ჰყოფს ურთიერთისაგან მკითხველს და ბელლეტრისტის მიერ დახატულს გმირებს. ხელოვნებას სწორედ ამიტომ ეძახიან ურთიერთობის ერთ-ერთ საშუალებას. ამ ზოგადის ხასიათის საგნების შესახებ შემდეგაც გვექნება საუბარი მკითხველთან, ეხლა კი ქ. ხოშტარიას მოთხრობა „კერა" გავითვალისწინოთ.

ამ მოთხრობაში ორი მთავარი გმირია, მართა და სიმონა. მართა—ახალგაზრდა, შეძლებულის დედ-მამის მოხდენილი და შნოიანი ქალია, რომელსაც ტოლ-ამხანაგებში სილამაზით ვერავინ ვერ შეედრება. სიმონა ადრიანად დაობლებულა, მამისაგან იმას ვალების მეტი თითქმის არავითარი სამკვიდრო არ დარჩენია; ის გაჭირებისა ჩ ხელმოკლეობის შვილია. ძმის ვალების გადასახდელად სიმონა მოჯამაგირედ უდგა თავის მოვალეებს, შრომობს და წვალობს სხვის გულისათვის, მაგრამ გასამრჯელოს კი არაფერს იღებს, ჯამაგირი მხოლოდ ვალში ეთვლება. თუმცა სიმონა და მართა შეძლებით შორს, ძალიან შორს არიან ერთი-მეორისაგან, მაგრამ სიყვარულმა მდიდარი და ღარიბი არ იცის, იმისათვის ორივე ერთისა და იმავე ღირსების პატრონი ადამიანები არიან. სიმონას დიდს ხანს ვერ გამოურკვევია თავის გონებაში, რომ იმას მართა უყვარს, მაგრამ რაც ხანი გადის, ეს გრძნობა თანდათან უფრო ძლიერდება და მწიფდება. არც მართა უცქერის გულგრილად სიმონას, ის ყველგან საიდუმლოდ სიმონასთან შეხვედრას ეძებს, სტკბება იმის ცქერით, როცა კი შეეყრება სადმე, და გულს აკლია, რომ იმას სიმონა თითქოს იმნაირადვე ეკიდება, როგორც სხვებს. პირველ ხანებში შეყვარებულებს თითქოს თავისი თავისა ეკრძალებათ. გარდა ამისა ორივეს კარგადა აქვთ წარმოდგენილი, რომ შეძლების მხრივ სხვა-და-სხვა საფეხურ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც". № 1694.

სამხრეთ-აფრიკა. „ტან“-ის კორესპონდენტს ბრიუსელში ბურების წარმომადგენლები ფიშერი და ლეიდსი უნახავს და ინგლის-ბურების შერიგების საქმეზე ულაპარაკნია. ბურების წარმომადგენლებს გადაჭრით უთქვამთ: ჩვენ არას დროს არ გვითხოვნია ჰოლანდიის მთავრობისათვის, რომ ჩვენ მაგიერ ინგლისთან ზავზე მოლაპარაკება დაეწყო. რასაკვირველია, ძლიერ მადლობელნი ვართ ჰოლანდიის მთავრობისა, რომ ესეთი კეთილი საქმე იდო თავს. მაგრამ არც ჰოლანდიის მთავრობისათვის და არც სხვისთვის არას დროს არ მიგვინდვია, რომ ინგლისთან ზავზე მოლაპარაკება გამართონ. თუმცა ინგლისის მთავრობას არა სჯერა, სანამ ზავზე მოლაპარაკება ჩვენ თითონაც შეგვიძლიან, რადგანაც ამისათვის საჭირო რწმუნების ქაღალდი გვაქვს ხელთა. როცა კი საჭიროდ დავინახავთ, თამამად შეგვიძლიან ზავზე მოლაპარაკება გავმართოთ, ოღონდ ეგ არის, რომ სანამ მოლაპარაკებას დავიწყებდეთ, ჯერ მეომარ ბურებს უნდა დავეკითხხეთ. არც ბურების სარდლები დაიწყებენ უჩვენოდ ზავზე მოლაპარაკებას“.

ფიშერს გადაწყვეტით უთქვამს კორესპონდენტისათვის:

„ომის დაწყების დროსაც მწამდა, რომ ბურები გაიმარჯვებდნენ და ეხლაცა მწამს. ბრძოლის ველიდანაც ისეთი ამბები მოგვდის, რომ ჩემი იმედი თან-და-თან უფრო მტკიცდება; ინგლისელები მთლად დაიქანცნენ, დიდი გაჭირვება ადგიათ სამხრეთ-აფრიკაში. ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტი შტეინი ძლიერ თავდაჭერილი და ფრთხილი კაცია; შარშან თავის პროკლამაციაში შტეინს ეთქვა: „ტანჯვის ფიალა ძირამდე უნდა დავცალოთ“, ეხლა ამ წინდახედულ კაცსაც კი ასე უთქვამს ბურების რაზმებისათვის: „ეხლა კი მგონია, ჩემო მეგობრებო, რომ ჩვენი ბრძოლა გამარჯვებით გათავდება“.

კორესპონდენტს უკითხავს: ნიჭიერი სარდლის ბენ-ვილიომენის დატყვევება მართლა გულს გაუტეხს ბურებსაო. ფიშერს უპასუხნია: „არა მგონია. ჩვენ ისეთი სარდალი არავინა გვყავს, რომ იმის ბადალი ვეღარ ვიშოვოთ. ვილიომენის დაკარგვა რასაკვირველია მეტად ძნელი საქმეა ჩვენთვის, მაგრამ მის ბადლად მეორე ნიჭიერი მამაცი სარდალი გამოჩნდება; მართალია ამ სარდლის სახელი დღეს არავის გაუგონია, მაგრამ ვილიომენის სახელი ვიღამ იცოდა ომის დაწყებამდე“?

ლაპარაკი უსამართლოდ დასჯილ ახალგაზრდა შეფერსზედაც ჩამოჰვარდნიათ. ფიშერს უთქვამს, კარგად ვიცნობდი შეფერსსაო, მისი დასჯა—საზიზღარი მკვლელობაა, და სასამართლოში შეფერსის საქმის გარჩევა—საძაგელი, გულმოსაკლავი კომედია იყოო.—ინგლისელებს შეფერსის თოფით დახვრეტა ეწადათ, ამიტომ ბევრი რაღაცა ბოროტ-მოქმედება დააბრალეს, კაცების დახოცვაც დასწამეს. მაგრამ, ვიმეორებ, შეფერსს კარგად ვიცნობდი, მეტის მეტად გულ-კეთილი მშვიდი კაცი იყო, და ბოროტების ჩადენასა და კაცების დახოცვას ვერც კი მოახერხებდა.

დასასრულ კორესპონდენტს უკითხავს: რატომ ბურები კი სამაგიეროს არ უხდიან ინგლისელებსაო. ფიშერს უპასუხნია: ბურებს არც კი აქვთ მაგისთანა მხეცობის უნარიო. და ან რისთვის გადაუხადონ სამაგიერო, როდესაც ამით უფრო წაიხდენდნენ საქმეს და სარგებლობას კი ვერასა ჰნახამდნენო. განა ყველა არ დარწმუნდა ეხლა, რომ ინგლისელებმა ლოტერისა და შეფერსის თოფით დახვრეტით მარტო მთელი ქვეყანა ააშფოთეს და სახელი გაიტეხეს“!

საფრანგეთი. პალატა თავის მოქმედებას უსათუოდ 12 მარტს გაათავებს, იქნება მარტის პირველ რიცხვებშიაც გაათავოს. საზოგადო არჩევანი 14 აპრილს მოხდება. არჩევანი იმიტომ დაინიშნა ასე მალე, რომ რამდენიც მეტ ხანს გრძელდებოდა საარჩევნო აგიტაცია, რესპუბლიკელებს შუაც იმდენი მეტი უთანხმოება იბადება ასარჩევ კანდიდატების თაობაზე.

✿ მუშების მწარმოებელ ამხანაგობათ სათათბირო კამერა ნადიმის გამართვას აპირებს. თავმჯდომარედ ამ ნადიმისათვის ვალდეკ-რუსო და მილიერანი მიიწვიეს. ორივე მინისტრი დასთანხმდა თურმე მუშების თხოვნას. გაზეთ „ასოსიასიონ უვრიერ“-ი (მუშების ამხანაგობა) ამბობს, ეს ნადიმი იმ მიზნით იმართება, რომ მთავრობამ გამოსთქვას თავისი აზრი მუშების საქმის თაობაზეო. ნადიმი პარიზში თებერვალში გაიმართებაო.

ავსტრ-უნგრეთი. ავსტრიელი პანგერმანისტები თავიანთსას არ იშლიან და სლავიანთა სკოლებს მთლად განადგურებას უპირებენ. პანგერმანისტებმა მოითხოვეს საბიუჯეტო კომისიაში: ხარჯი აღარ მიეცეს იმ უმაღლეს ტეხნიკურ სკოლას, ორის წლის წინად რომ ქალ. ბრიუნში დაარსდაო. ეს წინადადება კომისიამ უარ-ჰყო 25 ხმის უმეტესობით 12 წინააღმდეგ.

იტალია. იტალიაში კლერიკალებს აკრძალული აქვთ არჩევანში მონაწილეობის მიღება. ზოგიერთი გაზეთი ამტკიცებდა ამას წინად, რომ პაპის განზრახვა აქვს კლერიკალებს ნება მისცეს არჩევანში გაერივნენ და კონსერვატორებს დახმარება გაუწიონ. ამის პასუხად პაპის გაზეთი „ვოჩე დელა ვერიტა“ სწერს: პაპის არას დროს არ მიუცია კლერიკალებისათვის ნება, რომ არჩევანში მონაწილეობა მიიღონო.

ჩინეთი. „ტაიმს“-ს სწერენ პეკინიდან: „ჩინეთმა რუსეთ-ჩინეთის ბანკს ბევრი უპირატესობა მისცა მთელს მანჯურიაში. პირობის ძალით, რუსეთ-ჩინეთის ბანკს დიდი უპირატესობა ექნება აღებ-მიცემობაში, მრეწველობაში და მადნების საქმეშიო; რკინის გზების გაყვანაც ამ ბანკის ხელში იქნებაო. ინგლისმა, იაპონიამ და შეერთებულმა შტატებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთს და ამიტომ ხსენებული პირობისთვის აქნობამდე ხელი არ მოუწერია ჩინეთის მთავრობასაო. ინგლისი, იაპონია და ამერიკა აცხადებენ, თუ რუსეთ-ჩინეთის ბანკს ასეთი უპირატესობა მიეცა, ამით ჩვენი უფლება დაირღვევაო. გერმანია კი რუსეთს ემხრობა თურმე ამ საქმეში. თუ რუსეთს ამდენ უპირატესობას მისცემენ, მაშინ გერმანია თავისთვისაც ამისთანავე უპირატესობას მოითხოვს შანდუნის პროვინციაში“.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 28 იანვარს, ნაშუადღევის ხუთ საათზე ტფილისში ჩამოვიდა თავის ამალით **პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგელისა.** პრინცესა ჩამოხდა სასტუმრო „ორიანტში“, სადაც ათი ნომერი დაიჭირა; იმასთან ერთად ჩამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც მთავარ-მმართებლის თანაშემწის სადგომში ჩამოხდა.

◆ ამას წინად ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს საყურადღებო მოხსენება წარუდგინა კომიტეტის წევრმა ბ-ნმა გ. დ. ქურულმა იმის შესახებ, თუ როგორ იქმნას ნაყოფიერად მოხმარებული ბანკის ექსტრაორდინალური **თანხა.** ბ-ნი ქურული თვის მოხსენებაში ამბობს, რომ ამ თანხიდან დაზარალებულ მეურნეთ ბანკის დაარსებიდან მიეცა სულ 117,000 მან., აქედან 95% თითქმის სულ სეტყვისაგან დაზარალებულ მეურნეთ. ბ. ქურულის აზრით, ასეთს შემწეობას სასურველი ნაყოფი ვერ მოაქვს, რადგან ეს შემწეობა იხარჯება არა მოსალოდნელ უბედურების ასაცილებლად, არამედ უბედურების შემდეგ და ვერას უშველის დაზარალებულებს, რომლებსაც ათჯერ მეტი ზარალი მოსდით. რადგანაც მეცნიერებამ უკვე შეიმუშავა ისეთი საშუალება, როგორც მორტირებით სეტყვასთან ბრძოლაა, უმჯობესი იქნებაო ამ თანხიდან ყოველ-წლობით გადავდვათ განსაზღვრული ფული, თუნდ ხუთას-ხუთასი თუმანი, რითაც შეიძლება რამდენიმე ხნის განმავლობაში სეტყვასთან საბრძოლველი სადგურებით მოვფინოთ მთელი ტფილისის გუბერნიაო. ზედამხედველ კომიტეტმა ეს წინადადება განიხილა რამდენიმე დღის წინად და პრინციპიალურად მოიწონა იგი, ხოლო დაწვრილებით ამ საკითხის შესამუშავებლად გარდასწყვიტა ამორჩეულ იქმნეს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც აგრეთვე უნდა შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა, თუ რა დაუჯდება ბანკს თითო მორტირის სადგურის გამართვა და სხვა. კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ გ. ქურული, თავ. ლეონიძე და თავ. აბხაზი. კომისიის მიერ შემუშავებული მოხსენება დასამტკიცებლად წარედგინება ბანკის რწმუნებულთა მომავალ საზოგადო კრებას.

◆ მეოთხე საერთა-შორისო კონგრესი **სეტყვასთან ბრძოლის** მოწყობის შესახებ მოხდება ვენაში 1904 წელს შემოდგომაზედ.

◆ საუფლისწულო უწყებას გარდაუწყვეტია გამართოს წელს მუკუზანის ვენახებში **სეტყვასთან საბრძოლველ** მორტირების სადგურები; სულ გაიმართება 17 მორტირის სადგური 550 დესეტინა მიწაზედ, რაც აღნიშნულ უწყებას დაუჯდება 5000 მან.; მომავალ წელს საუფლისწულო უწყებას განზრახვა აქვს ესეთივე სადგურები გამართოს წინანდალის მამულებში. საუფლისწულო უწყების აგრონომი ბ-ნი გოგოლიანოვსკი, 27 იანვარს კიდეც გაემგზავრა ტფილისიდან სოფ. მუკუზანში იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც უნდა დაიდგას წელს სეტყვასთან საბრძოლი ზარბაზნები.

◆ ბაქოდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ **ბაქოში ჩამოსულა** სახელმწიფო რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი ბ. კეტრიცი, რომელიც ამ დღეებში ქალაქში ჩამოვა.

◆ საქალაქო სასწავლებელთა კომისიის ერთმა წევრმა კომისიაში კითხვა აღძრა მაზედ, რომ ქალაქმა **დააარსოს** რამე სასწავლებელი რუსეთის მწერლის გოგოლის სახელობაზე, რადგანაც 21 თებერვალს სრულდება 50 წელიწადი, რაც გოგოლი გარდაიცვალა.

◆ რადგანაც ქალაქის ხარფუხის სკოლაში გადამდები ავადმყოფობა გაჩნდა, ამიტომ დაადგინეს—**სწავლა შეჩერებულ** აქმნას ამ სკოლაში.

◆ იმ ათი სტიპენდიის შესახებ, რომლებიც ტფილისის საშუალო სასწავლებლებში უნდა დაწესდეს დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელზე, კავკასიის სამოსწავლო **ოლქის მზრუნველმა** აცნობა ქალაქის თვით-მმართველობას, რომ ეს საქმე წარედგინა დასამტკიცებლად საერო განათლების სამინისტროს, რომელმაც 1899 წელსვე მოითხოვა დამატებითი ცნობები ამ საქმის შესახებ, და ქალაქის თვით-მმართველობას კი დღემდის არ მიუწვდია სამინისტროსათვის ეს ცნობები.

◆ ქალაქის სასწავლებელთა კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ცალკე კომისიას, რომ დააჩქაროს როგორც ტფილისის **სამრეწველო სასწავლებლის** კითხვის შემუშავება, აგრეთვე ისიც, როგორ უნდა მოიხმარონ განსვენებული ნატალია შიოევის ნაანდერძევი ქონება, რომელიც იმან დაუტოვა ქალაქს იმ აზრით, რომ ეს ქონება ბავშვების აღზრდა-განათლებას მოახმარონ.

◆ როგორც გუშინ ვაცნობეთ მკითხველთ, შაბათს, 26 იანვარს, შესდგა საზოგადო კრება რკინის გზის სასწავლებელში კურს შესრულებულ ტეხნიკოსთა დამხმარებელ საზოგადოების **წევრთა კრება.** კრებას დაესწრო 67 წევრი; თავჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ბ-ნი ფანცულაია. პირველად კრება შეუდგა გამგეობის ინსტრუქციის განხილვას, რის გამოც გამოწვეულმა კამათმა თითქმის სამი საათი გასტანა; რადგანაც წესდებაში ბევრი ისეთი მუხლი აღმოჩნდა, რომ საზოგადოების გამგეობას უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს, ხმის უმეტესობით კრებამ საჭიროდ დაინახა განსაკუთრებულის კომისიის ამორჩევა, რომელმაც ხელ-მეორედ უნდა გადაათვალიეროს ინსტრუქცია და შესწორებულ-შევსებული წარუდგინოს განსახილველად მომავალ თებერვლის საზოგადო კრებას; კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ბ-ნნი ვახნიანსკი, გაგუა, კისლოვი

ზე სდგანან და ამიტომ არც ერთს მათგანს იმედი არა აქვს მართას დედ-მამის თანხმობით შეუღლებისა და ქორწილისა, მაგრამ სიყვარული თავისუფალი გრძნობაა, იმის ერთხელ გაჩენილის ცეცხლის ჩაქრობა ძნელი-ღაა.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ქ. ხოშტარიას თავისი მოთხრობა ფართოდ და ღრმადა აქვს ჩაფიქრებული. თავისუფალი სიყვარული, ეს მუდმივი რომანიული ხლართი, ჩვენს მოთხრობაში საუცხოვოდ შეწყობილს პირობებშია ჩაყენებული. აქ ბელლეტრისტს ჩინებულად შეუძლიან გაავითაროს ბრძოლა სიყვარულის დამაკავშირებელს და სიმდიდრის გამაცალკევებელს ძალთა შორის. გარდა ამისა, აქ ადვილად შეიძლება ჩაერთოს ბრძოლა შეყვარებულის ქალისა დედ-მამასთან, რომელთაც შეძლებული სასიძო უნდათ და არა სიმონასთანა ცალიერი კაცი. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ. ხოშტარიამ ღირსეულად ვერ ისარგებლა მოთხრობის ფართო დასაწყისით და ჯეროვანად ვერ განავითარა თავის გმირების ჭეშმარიტად დრამატიული მდგომარეობა.

სიმონას და მართას სიყვარულის ისტორიაში ახალი მომენტი იმ დროიდამ იწყება, როდესაც ახალგაზრდა ქალის დედა, სიდონია, მაჰანკლების შემწეობით ობობასავით გააბამს ქსელს ქალაქელ სანდრას სასიძოდ დასაჭერად. სანდრა ქ. ხოშტარიასი თითქმის იგივეა, რაც ბ. ლალიონის გიორგი პინტილიანი. სანდრას ადრიანად მიუტოვებია სოფელი, გადასულა ქალაქში, იქ რაღაც ხელობაზე დამდგარა და სოფელში მდიდარ კაცად ითვლება. გიორგი პინტილიანისაგან სანდრა მარტო იმით გაირჩევა, რომ უკანასკნელს ბედმა და იღბალმა ისე ერთგულად არ შეუწყო ხელი, როგორც გიორგის, მაგრამ ეს გარეგანი მხარეა, და სულით და გულით კი ორივე ერთის ჯურისანი არიან. ბ. ლალიონმა საკმაოდ სრული პორტრეტი დაგვიხატა გიორგი პინტილიანისა; „ეფემიას ოცნებაში“ მკითხველს ცოცხლად უდგა თვალწინ რგვლად ჩასუქებული, სუფთად ევროპიულად მორთული გიორგი, რომელსაც მხოლოდ ერთად ერთი სათაყვანებელი კერპი გააჩნია: მსუბუქის სიამოვნების სასყიდელი ფული. „კერა“ გაცილებით მკრთლად ჰხატავს სანდრას; აქ სანდრას ლოთის გემოვნებაზე წითელი ხელცახოცი უფრიალებს გვერდზე და თავმომწონეთ მიუძღვის წინ დაფა-ზურნას, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნობითი სურათია; მკითხველი სანდრას სულიერს არსებას არ იცნობს, იმის შესახებ მთელს მოთხრობაში სულ რამდენიმე სიტყვა აქვს ნათქვამი ქ. ხოშტარიას. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ეს, ჩვენის აზრით, თვალსაჩინო ნაკლულევანება მოთხრობისა. ასეთი გარეგანი სურათი შეიძლება საკმარისი ყოფილიყო მოთხრობისათვის, სანდრას რომ ეპიზოდური მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ ეხლა კი ეს მკითხველს ვერ დააკმაყოფილებს. მოთხრობის შინაარსი ისეთია, რომ მკითხველმა უეჭველად უნდა შეუფარდოს ერთმანეთს სანდრა და სიმონა, რადგანაც ორივენი მართას ცოლად წაყვანას აპირებენ; სიმონას სურათი მთელია და სრული, სანდრასი კი მკრთალი და დაუმთავრებელი. მკითხველი ძალა-უნებურად სიმონას აძლევს უპირატესობას, რადგანაც იმას პატიოსანს ადამიანად იცნობს, მაგრამ ეს საკმარისი არ უნდა იყოს მოთხრობის ავტორისთვის.

მართა შემთხვევით იტყობს თავის დედის განზრახვას, ჰგრძნობს, რომ სიმონასადმი სიყვარულს დაფარვა აღარ უნდა, და ამის შემდეგ თამამად და გაბედულად იწყებს მოქმედებას. სიმონას სიხარულს საზღვარი არა აქვს, ის არც კი მოელოდდა, რომ მართას სიყვარული ასეთი მძლავრი იყო, იმას თითქოს არც კი სჯერა, რომ მართა იმასთან სიღარიბეში სიცოცხლეს ამჯობინებს სანდრასთან მდიდრულად და განცხრომაში ცხოვრებას. სიმონა მოკრძალებით ურჩევს თავისს ლამაზს სატრფოს, კარგად დაფიქრდი, ასწონ-დასწონე და ისე მოიქეც, მე ლატაკი ვარ, ჩემი თავის მეტი არა მაბადია და სანდრა კი მდიდარიაო. მაგრამ მართას გადაწყვეტილება შეურყეველია. მართას მხოლოდ სიმონას ცოლობა ჰსურს და მზადაა ყოველნაირი წინააღმდეგობა გაუწიოს დედის და მამას, რომელთაც თავიანთის გულის თქმის მიხედვით ჰსურთ გაიბედნიერონ ქალი. სიდონიას და მართას მხოლოდ ერთხელ აქვთ ლაპარაკი ერთმანეთთან გათხოვების შესახებ. მართა გადაწყვეტით უცხადებს დედას, რომ ის სანდრას არ წაჰყვება, მაგრამ სიდონიას ეს სიტყვები მოკრძალების და მორცხვობის ნიშნებად ეჩვენება და ქალს თავ-დაჭერილობას უქებს. სინოდია დარწმუნებულია, რომ მართას გულში კიდეც უხარიან სანდრასთანა ქმარი, მაგრამ მორცხვობს და ამიტომ თითქო ურჩობასაც იჩენს, რომელიც სრულიად გაჰქრება, როცა სიტყვა საქმედ გადაიქცევა და სანდრა ნიშანს მოუტანს. ამ მოსაზრებით წაქეზებული სიდონია საჩქაროდ მოურიგდება სანდრას და ნიშნობის სამზადისს შეუდგება. მართა ჰხედავს ამას, იცის, რომ მისს სიტყვას ყურს არავინ ათხოვებს, სიმონას გარდა, და ამიტომ იმას, მხოლოდ იმას უზიარებს თავის დარდს. ურთიერთით გატაცებულნი მართა და სიმონა სწორედ ნიშნობის წინა საღამოს მიატოვებენ ნიშნობისათვის დამზადებულს სიდონიას სახლს და სიმონას სოფელში გაიქცევიან. აქ სიმონა თავის მამისეულს მინგრეულ-მოგრეულს ქოხს მიატანს და სტკბება იმედით, რომ ეხლა კი საკუთარი კერა ექნება; მეორე დღეს მართა და სიმონა ადგილობრივს ეკკლესიაში დაი-

და ბლოკი. დასასრულ შეუდგნენ გამგეობის თავმჯდომარისა და წევრების არჩევანს, რის შედეგიც უკვე გვქონდა აღნიშნული „ცნ. ფურც" გუშინდელს ნომერში. სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები გადაიდვა მომავალ საზოგადო კრებამდე.

◆ „ჩერნომ. ვესტნიკ"-ის სიტყვით, სახელმწიფო კონტროლის განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელე ნიკოლსკი დაინიშნა კონტროლიორად **ფოთის ნავთ სადგურის** აშენების დროს.

◆ იგივე გაზეთი იტყობინება, რომ **გამოძიება** ბ. გრ. ვოლსკისა და ბათუმის საბჭოს ზოგიერთ ხმოსნების შესახებ მალე დასრულდება და ბრალდებით ოქმთან ერთად წარედგინება საოლქო სასამართლოს.

◆ დღეს, 29 იანვარს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და განსაკუთრებულის კომისიისა, რომელზედაც მოწვეულია ტფილისის პოლიცმეისტერიც, რათა დააჩქარონ, სახლების **ახალი ნომრების დანიშვნა** და ნომრების ფიცრების დარიგება სახლის პატრონებისთვის.

◆ დღესავე დანიშნულია სხდომა საქალაქო კომისიისა, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს და შეიმუშავოს ის კითხვა, თუ რა ღონისძიება უნდა იხმარონ ქალაქის გასუფთავებისათვის, რათა **უზრუნველ ჰყონ** ქალაქი სანიტარულ მდგომარეობის მხრივ.

◆ სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა 27 იანვარს დაათვალიერა აბანოები, ღარიბი ხალხისათვის გაკეთებული ავლაბრის საქალაქო სამკურნალოს ქვემო სართულში და ისეთ საძაგელ მდგომარეობაში ნახა ეს აბანოები სანიტარულის მხრივ, რომ იმ წამსვე ქალაქის პოლიციას მიმართა, რომ **დაეხურათ**. საკვირველია, აქამდის როგორ არ მიაქცია ყურადღება აბანოების მდგომარეობას ამავე შენობაში მცხოვრებმა ქალაქის ექიმმა!

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა ქალაქის სამარხი კასის დამფუძნებელთ, რომ სამარხი კასის წესდება **დაამტკიცა** სათანადო მთავრობამ და შეუძლიანთ, კასა გახსნან.

◆ წოვიანოვის და კამპ. სავაჭრო სახლის წარმომადგენელთ ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანეს, რომ თავიანთ სავაჭრო სახლი **ბაქოში გადააქვთ**, ხოლო ტფილისში ამ სახლის განყოფილება იქმნება.

◆ გუშინ, 27 იანვარს, ტფილისში ჩამოვიდა ახალქალაქის მაზრის უფროსი ლ. ნ. ზისერმანი.

◆ 27 იანვარს, სასამართლოს ქუჩაზე, აზნ. ნესტორ არეშიძესა და ჯარისკაცად ნამყოფს დიომიდე ერქომაიშვილს ჩხუბი მოსვლიათ. იქვე მდგომ პოლიციელს რ. ბელის უთქვამს, უწესოების ჩადენის გამო პოლიციაში უნდა წამოხვიდეთო. ამაზე მოსვლიათ ერთმანეთში ჩხუბი, რომლის დროსაც არეშიძეს ბელი დაუჭრია მარცხენა ხელში. დაჭრილი პოლიციელი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს; ექიმების შემოწმებით, მისი ჭრილობა საშიში არ არის. გამოძიება სწარმოებს.

◆ ბაქოდან იტყობინებიან, რომ 27 იანვარს ვაგონების გადამბმელი გოგორიშვილი, მანევრების დროს, მძიმედ დაშავდა; დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ 28 იანვარს, მე-404 ვერსზე, გზის ასახვევ სადგურზე, მატარებელი №-217 დაეჯახა მატარებლის №-212 ის უკანასკნელ ვაგონებს. ექვსი ქვაბი დაიმტვრა, ლოკომოტივი დაზიანდა, გზა შეიკრა. ხალხს უბედურება არ მოსვლია.

რუსეთის ქრონიკა

∝ 22 იანვარს ისევ დაიწყო შვიდი თვის წინად შეწყვეტილი კრება საშუალო სკოლის რეფორმის მოსახდენად არჩეულის კომისიისა. კომისია ეხლა უფრო მრავალ-რიცხოვანია, ვიდრე წინად; გარდა სხვა-და-სხვა უწყებათა წარმომადგენლებისა, ახლად მოწვეულია 16 წევრი. კომისიას ყოველ საღამოს ექნება სხდომა, რათა საქმე მალე დააბოლოვოს; თავჯდომარეობენ საერო განათლების მინისტრი გენ.-ად. ვანნოვსკი და მისი ამხანაგი ი. ვ. მეშჩანინოვი.

∝ ფინლინდიის სენატმა, „ნოვ. ვრ."-ს სიტყვით, მიანდო სენატის პროკურორს მიიღოს ღონისძიებანი წინააღმდეგ უფროს მღვდლის ტოპნენისა, რომელმაც უარი სთქვა იმ პირთა სიის შედგენაზე, რომელნიც წელს უნდა იყვნენ გაწვეულნი სამხედრო ბეგრისათვის. პროკურორმა განკარგულება მოახდინა სამართალში იქმნან მიცემულნი როგორც ეს მღვდელი, ისე სხვებიც, რომელთაც არ მოისურვეს და სამხედრო ბეგრის ახალი კანონი წესისამებრ ეკკლესიებში არ გამოაცხადეს.

∝ ნიკოლაევის რკინის გზაზე მსახურს მაშინისტს ვასილიევს გაუკეთებია ერთგვარი სწრაფმავალი ლოკომოტივი, რომელიც საათში 120 ვერსს გარბის ადვილად. ამ ლოკომოტივს ამ დღეებში გამოსცდის საგანგებო კომისია, გზათა მინისტრის მიერ შედგენილი.

∝ ამ წლის გაზაფხულის დამლევს პირველად დაასრულებენ კურსს ქალები სამედიცინო ინსტიტუტში.

∝ გზათა მინისტრის ბრძანებით, 1903 წლის პირველ იანვრიდან უნდა შემოიღონ რუსეთის რკინის გზებზე საქონლის ყველა ვაგონების შემაყენებელი მანქანა—ტორმოზი.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა საგანგებო კრება

26 იანვარს შესდგა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა საგანგებო კრება. გამგეობის ახალის თავჯდომარისაგან განსახილველად იყო წარმოდგენილი იგივე კითხვები, რომლებიც კრებას არა ერთხელ განხილული და გადაწყვეტილი ჰქონდა; ამ გარემოების შესახებ რამოდენიმე რწმუნებულებმა შენიშვნაც მისცეს კრების თავმჯდომარეს, რომელმაც პასუხად მხოლოდ ის სთქვა, რომ დიდი ხანია ბანკის წარმომადგენელთა კრება არ ყოფილა და ამიტომ შეიძლება ზოგიერთ თქვენთაგანს გამოეცვალა აზრი იმ კითხვების შესახებო.

კრების მიერ გასარჩევ საგნებად თავმჯდომარემ დაასახელა შემდეგი კითხვები: 1) გავრცელება ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის მოქმედებისა სხვა გუბერნიებზე, მაგალითად, ერევნის, ბაქოს, განჯის და ჩერნომორსკისა. 2) სესხის გაცემა ბათუმის ვაქუფიან მამულებზე. 3) სესხის გაცემა დაბა-აგარაკებში. 4) $4^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$ გირავნობის ფურცლების გამოცემის ნების აღება. 4) გირავნობის ფურცლების გამოცემის უფლების შეუმცირებლობა. 6) მინიჭება ქუთაისისის სათავად-აზნაურო ბანკისადმი იმავე უფლებათა, რომლებიც უკვე აქვს ტფილისის ამნაირსავე ბანკს, მაგალითად ა) გირავნობის ფურცლების შესყიდვა ბირჟაზე; ბ) დამფასებელთა კომისიის სახელმძღვანელო წესდების შეცვლის ნება; გ) სესხის ვადების გადიდება 36 წლამდე და 4 თვემდე და მეტითაც. ყველა ეს კითხვები ექვს წელიწადზედ მეტია, რაც ბანკის საზოგადო კრებამ გაარჩია, სასარგებლოდ სცნო და დაავალა გამგეობას წარედგინა სამინისტროში; ამიტომ ეხლა კრებას საბაასო არა ჰქონდა-რა. ერთხმად, უთათბიროდ დაადგინა განმეორებით აღძრულ იქმნას შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საყურადღებო ამ კრებაზე მხოლოდ ის იყო, რომ ერთმა წევრმა, ცნობილმა ქუთაისის საზოგადო მოღვაწემ მ. დ. აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნას საზოგადო საჭიროებისათვის გადადებული პროცენტი, რომელიც ერთმევა მამულის დამრიგებელთ; თუ საერთო საჭიროებას შემწეობა უნდა,—ერთნაირად შეეწიონ ყველა წევრები: დამფუძნებლებიც და სესხის ამღებლებიცო, თორემ ეხლა მარტო სესხის ამღებლებთ გვაწევს თავზე ამ თანხის გასაძლიერებელი ხარჯიო. ეს წინადადება დიდ ხიფათში და გასაჭირში ჩააგდებდა უამისოდაც გაჭირვებულს ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლას. ისე გაბედულად და რიხიანად იყო წარმოთქმული ეს წინადადება, რომ კრება თითქმის თანხმდებოდა ამ კითხვაზედაც; მაგრამ საქმეს უშველა ისევ ძველმა გამგეობის წევრმა ბ. ნ. ერისთავმა: ეს კითხვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ასე მცირე რიცხვოვანი კრება ამას ვერ გადასწყვეტსო ⁊ ამიტომ მომავალ საზოგადო კრებამდის გადავსდვათ მისი განხილვაო. ამ აზრს დაეთანხმა თავმჯდომარეც და ამნაირად ჩვენი საერთო სასარგებლო საქმეც განსაცდელს გადარჩა, დროებით მაინც.

გასაოცარია ქუთაისის, ეგრედ წოდებულ, მოღვაწეთა ამბავი. ხშირად სრულიად არ უკვირდებიან საზოგადო საქმეს: წინ დაუხედავად, დაუფიქრებლად წარმოსთქმენ რამე აზრს და იმას კი არ დაეძებენ, საზარალოა ის საზოგადოებისათვის, თუ სასარგებლო. სხვები ზრუნავენ იმის შესახებ, რომ ჩვენს ბანკებს მოუსპონ მათი განსაკუთრებული ქველმოქმედური ხასიათი და გახადონ მსესხებელთა ინტერესების დამცველად და ამ ტენდენციას ჩვენებური „მოღვაწეებიც" მხარს აძლევენ. ასეთი მოვლენა მარტო ერთ და ორ შემთხვევაში კი არ ხდება—ის ყოველ ჩვენ საზოგადო საქმეშია, და რა იმედი უნდა გვქონდეს ამნაირი მოღვაწეებისაგან?!

წვერი

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება

(სეტყვასთან ბრძოლა მორტირებით)

წარსულ 1901 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში საფრანგეთის ქალაქ ლიონში მოხდა საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც ჰქონდა განსახილველად საკითხი, თუ რამდენად ნაყოფიერია ვენახების გამანადგურებელ მტერთან-სეტყვასთან ბრძოლა მორტირების საშუალებით. ამ კონგრესზე რუსეთიდან გაგზავნილი იყო კახეთის საუფლისწულო მამულების ღვინის სარდაფის გამგე გ. ი. გოჯოლ-იანოვსკი, რომელმაც 26 იანვარს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას წარუდგინა მოხსენება კონგრესის შესახებ და აგრეთვე კონგრესის დადგენილებანი. ლიონის კონგრესს დასწრებია სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენლებს გარდა მრავალი მეცნიერი, სპეციალისტი და სხვა ამ საქმეში დაინტერესებულნი მეურნენი.

კონგრესს განუხილავს ბევრი საყურადღებო მოხსენება, რომლებშიაც მოყვანილია სანუგეშო ფაქტები, რომ საუკეთესო სისტემის მორტირების რიგიანად მოწყობით და გამოცდილის ხელმძღვანელის ყურის გდებით, მორტირებით სეტყვასთან ბრძოლას სასიამოვნო შედეგი მოაქვს. მაგალით., საფრანგეთის ოფიციალურმა მომხსენებლებმა, მიწად-მოქმედების პრეზიდენტმა შატილიონმა და მეცნიერმა გილონმა, კონგრესს წარუდგინეს მეტად საყურადღებო მოხსენება, რომლიდან სჩანს, რომ საფრანგეთში ამგვარ ბრძოლას კარგი ნაყოფი მოუტანია. სამაგიეროდ იტალიელ წარმომადგენლებს მეტად სამწუხარო მაგალითები მოუყვანიათ; მათის სიტყვით, თუმცა ყოველივე საშუალება უხმარიათ სეტყვასთან მორტირებით ბრძოლის დროს, მაგრამ მაინც ვერ უშველიათ. მიუხედავათ იტალიელთა მაგალითებისა, კონგრესი მრავალ ფაქტების შემოწმებით დარწმუნებულა, რომ ამ გვარი ბრძოლა ერთად-ერთი საუკეთესო საშუალებაა და თუ ნაყოფი სხვა-და-სხვა ქვეყნებში ნაკლები მოიტანა, იმის მიზეზები არის ცუდი სისტემის მორტირების გამართვა, მათი უხეიროდ მოხმარება და სხვა.

რამდენიმე დღის სხდომებისა და მრავალ-მოხსენების მოსმენის შემდეგ, კონგრესს შემდეგი დაუსკვნია 1) სეტყვასთან ბრძოლას რომ სასურველი შედეგი მოჰყვეს, საჭიროა, რაც შეიძლება დიდს ადგილზე იქმნეს გამართული მორტირის სადგურები; 2) უნდა შემუშავდეს მორტირების მოსაწყობი სადგურების გამართვის სისტემა; 3) მორტირების სადგურები ერთი-ერთმანეთზე არ უნდა იყოს დაშორებული 600—700 მეტრზე; 4) მორტირების გასატენი მასა-

---

წერენ ჯვარს და ამიერიდან კანონიერი ცოლ-ქმარნი არიან.

ამ წერილით ქ. ხოშტარიას სრული უფლება ჰქონდა თავის მოთხრობა დაემთავრებინა, მაგრამ ძნელის გამოსაცნობის მოსაზრებით იმან აქ მხოლოდ მოთხრობის პირველი ნაწილი დაასრულა. ზომიერება დიდი ღირსებაა ბელლეტრისტისა და აი სწორედ ეს ზომიერება აკლია ქ. ხოშტარიას. მოთხრობის შინაარსი მთელი უნდა იყოს, იმისი ნაწილი ერთი მეორესთან ნაძალადევად არ უნდა იყვნენ მიწებებული, მოთხრობაში რაც შეიძლება ნაკლები ადგილი უნდა ჰქონდეს ეპიზოდურს მომენტებს და უკანასკნელი წერტილიც სწორეთ იქ უნდა იქმნას დასმული, სადაც შინაარსი სრულდება. ჩვენს ავტორს ჰსურდა ამ მოთხრობაში გლეხთა შორის თავისუფალი სიყვარულის ისტორია გადმოეცა მკითხველისათვის და ეს ისტორია ხომ ბუნებრივად თავდება შეყვარებულების ქორწილით. ძალა-უნებურად გვაგონდება ქ. ეკატირინე გაბაშვილის მოთხრობა „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა", რომლის შესახებაც ცალკე გვექნება საკმაოდ ვრცელი საუბარი მკითხველთან შემდეგში; ორივე მოთხრობა უადგილოდ, უდროვოდ თავდება. ქ. ხოშტარიასი მეტის-მეტად გვიან და ქ. გაბაშვილისა მეტის-მეტად ადრე. „კერას" მეორე ნაწილს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი და მნიშვნელობა, მართასა და იმის დედ-მამას შუა რომ სრულიად არ შეწყვეტილიყო დამოკიდებულება ქალის ურჩობით და ან თან-და-თან მტრობის ხასიათი მიეღო მათს ურთიერთობას ან თან-და-თან შერიგების გზას დასდგომოდნენ ისინი. ნამდვილად კი (თუმცა ეს საეჭვოა, მაგრამ ანასტასია ხოშტარია ასე მოგვითხრობს), დედამ შეიტყო თუ არა ქალის გაქცევა სიმონასთან ერთად, მაშინვე გადასწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ ამოერეცხა იმის ხსოვნა თავის გულიდან და, ვიდრე ახალგაზრდათა ოჯახი ძირიან-ფესვიანად არ შეირყა სიმონას უცაბედის სიკვდილით, სიდონიას სახლში ერთხელაც არავის გაუხსენებია მართას სახელი.

ამ მოთხრობის უდიდეს ნაკლულევანებად ჩვენ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ ავტორმა დედ-მამისა და ქალიშვილის შუა გაჩენილი უთანხმოება ასე ნაკლებად განავითარა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, სულ არ განავითარა. მითომ იმ მოსაზრებით, რომ დედასთან ვერაფერს გავაწყობო, მართა მირბის მშობლების სახლიდან საყვარელ კაცთან, თუმცა მოთხრობის მკითხველს არ ესმის და, მგონი, არც იმის დამწერს ესმის, რატომ ვერაფერს გააწყობდა მართა თავის დედასთან. მაინცა-და-მაინც ჩვენის გლეხის წარმოდგენით სახლიდან ქალის გაქცევა სამარცხვინო საქციელია, ეს თვით მართასაც ესმის და ამიტომ ამ საშუალებისათვის იმას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიემართა, როდესაც ნამდვილად დარწმუნდებოდა, რომ სხვა გზით შველა არ იყო. ქ. ხოშტარიას რომ ეს ბრძოლა განევითარებინა, მაშინ იმისი მოთხრობის ყველა სხვა ნაკლულევანება დაიფარებოდა ამ ღირსებით, მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენს მწერალს ქალს სენტიმენტალურის სცენების აღწერა უფრო ეხერხება, ვიდრე მდგომარეობის განვითარება. აღვნიშნავთ გაკვრით, რომ სიყალბის ელფერი ეტყობა სიმონასა და მართას მინაზებულს ალერსს; ჩვენი გლეხი, ქალი იქნება ის თუ კაცი, რამდენადაც უნდა ნაზის ბუნების პატრონი იყოს, გარეგნობით მაინც მოუხეშავია და ტლანქი; ნიჭის ძლიერება სწორედ იმაში უნდა გამოეჩინა ქ. ხოშტარიას, რომ გლეხ-კაცის ტლანქის საალერსო სიტყვებით და ქცევით სიყვარულით მინაზებულ ადამიანის გრძნობა გამოეხატა. უბუნებრივო იმდენად სიმონა არაა, რამდენადაც მართა, რომელიც ისე ხერხიანად აწყობს სიყვარულის სიტყვებს, ისე მოხდენილად კეკლუცობს, ისე თამამად და გადაჭრით მოქმედებს ხან-და-ხან, რომ საფრანგეთის რომანების გმირს უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვენებურს გლეხის ქალს· არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ სიმონას სურვილი საკუთარის კერის გაჩენის შესახებ ტიპიურია და სიღარიბით დაჩაგრულის გლეხის სრული დამახასიათებელი. ეს ადგილი მოთხრობისა, ჩვენის აზრით, მოხდენილია და მშვენიერი.

მოთხრობის მეორე ნაწილი, როგორც ვსთქვით, ნაძალადევია და განგებ მიკერებული. მართა და სიმონა რამდენიმე წელიწადი სტკბებიან ბედნიერის ცხოვრებით და ერთმანეთის სიყვარულით, იმათი სახლ-კარი თან-და-თან უკეთესდება. სიმონა ერთხელ სამუშაოდ წავა სხვებთან ერთად შავ-ქვაზე, მაგრამ უკან კი ველარ დაბრუნდება· ერთი-ერთი იმის ამხანაგი მართას თავ-ზარ-დამცემ ამბავს მოუტანს, სიმონა კლდეზე გადაიჩეხა და დაიმსხვრაო. მართა შეწუხებულია, თითქმის გიჟდება... ერთად ერთი მიზანი, რომლისთვისაც იმან კიდევ უნდა იცოცხლოს ამის შემდეგ, ის არის, რომ არ ჩააქროს ცეცხლი სიმონას ოჯახში, არ მოშალოს იქ კერა და საყვარელის ქმრისაგან ობლად დატოვებული პაწია ვაჟი-შვილი გამოზარდოს. მართას უბედურება სიდონიასაც მოულბობს გულს; ეხლა დედა-მეგობრულად აწვდის ხელს თავის ქალს, სთხოვს დაბრუნდეს უკან მამის სახლში, მაგრამ მართა უარზეა—ის სიმონას ოჯახს ვერ უღალატებს.

მოთხრობის მეორე ნაწილის შესახებ არაფერს ვიტყვით გარდა იმისა, რომ აქ სიმონას უცაბედი სიკვდილი ავტორს თითქოს მხოლოდ იმიტომ აქვს შეთხზული, რომ დაამთავროს რაზედმე უზომოდ გაჭიანურებული ამბავი.

ფანგი

(შემდეგი იქნება)

და უნდა იქმნას არა უმეტეს 150—180 გრამისა და მე 5) მორტირების გამართვის დროს მეპატრონე უნდა დარწმუნებული იყოს, რომ კარგის სისტემის ზარბაზანი აქვს.

მთელის მასალის კრიტიკულად განხილვის შემდეგ, ლიონის კონგრესს ხმის უმეტესობით მიუღია სხვა-და-სხვა წინადადებანი; ჩვენთვის უფრო საყურადღებოა შემდეგნი: 1) სეტყვის წინააღმდეგ მორტირების საშუალებით ბრძოლა ღირსია, რომ ყურადღებით იქმნეს შესწავლილი მეცნიერთაგან; ამგვარი ბრძოლა ღირსია ყურადღებისა და მეურნე-მევენახეთათვის საიმედო. 2) სასურველია სინდიკატთა შედგენა სეტყვასთან საბრძოლველად. 3) დაწესდეს სამუდამო საერთაშორისო კონგრესი, რომლის უმთავრესი საქმე იქნება სეტყვასთან მორტირებით ბრძოლის შესახებ კითხვათა განხილვა.

ბ-მა გოგოლ-იანოვსკიმ, სხვათა შორის, მოიყვანა ცნობები, რომ საერთა-შორისო კონგრესმა მოიწონა ხალხისათვის უფრო მარტივი სისტემის მორტირი გრეიცისა (ავსტრიაშია), რუსეთში როზენბერგისა და ორი სისტემისა, საფრანგეთის ორის შესანიშნავ მეცნიერ-ტეხნიკოსთაგან შემუშავებული.

კრებაზე ამ მოხსენებამ საინტერესო კამათი გამოიწვია. თავ. ს. რ. ვახვახიშვილმა განაცხადა: აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა, რომ სავალდებულო იყოს მემამულეთათვის სეტყვასთან ბრძოლის საქმე მორტირების საშუალებით, მის მოსაწყობად საჭირო გარდასახადიც იქმნას დადებულით. პ. ი. ყიფიანს უხერხულად მიაჩნია ამ ბრძოლის სავალდებულოდ შემოღება, რადგან საკითხი ჯერ საბოლოოდ გამოკვლეული არა რის.

ბოლოს ბ. გ. ჟურულისა და პ. ყიფიანის წინადადებით არჩეულ იქმნა კომისია, რომლის წევრები გუშინდელ №-ში გვაქვს აღნიშნული; კომისიამ უნდა განიხილოს საკითხი და ერთის თვის შემდეგ თავისი აზრი წარუდგინოს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას.

დაბა-სოფლები

ს. უდე (ახალციხის მაზრა). სწავლა განათლებით ჩვენი სოფელი თითქმის უფრო მაღლა სდგას ყველა მეზობელ სოფლებზე: აქ არსებობს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელშიაც დღეს თითქმის ოთხმოცამდე ბავშვი სწავლობს, და ბიბლიოთეკა. სკოლაში მოწაფეთა რიცხვი თანდათან მატულობს; ეს აიხსნება მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლების წყურვილის ზრდით. აქ ძვირად შეხვდებით ისეთ კაცს, რომელმაც ქართული წერა-კითხვა არ იცოდეს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით აქაურ ქართველ-მაჰმადიანებზე: მათი სული და გული ისლამისაკენ მიჰფრინავს და ქართული აღარაფერი მოსწონთ; ამიტომაც აქაურ სკოლაში ერთ მაჰმადიან ბავშვსაც ვერ იპოვით... რადგან ხალხში სწავლა-განათლების სურვილი დღითი-დღე მატულობს, საჭირო და სასურველიცაა ამ ერთკლასიანი სკოლის ორკლასიანად გადაკეთება და ამით მცხოვრებთა წყურვილის დაკმაყოფილება. იმედია, თვით ამ სკოლის მასწავლებელი, ბატონი ივ. ბარიკალაშვილი ითავებს ამ საქმეს, რისაც გლეხობა დიდი მადლიერი იქნება და შემწეობასაც აღმოუჩენს. ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსებულია „ქართ. შორის წერა-კითხ. გამ. საზოგადოების“ მიერ 1897 წლიდან. დღეს ამ ბიბლიოთეკას ოთხასზე მეტი ქართული წიგნი აქვს შეძენილი, მოსდის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები და ორიც რუსული. დიდი პატივისცემის ღირსია ამ ბიბლიოთეკის გამგე ბ-ნი მერაბაშვილი, რომელსაც უფასოდ დათმობილი აქვს სამკითხველოსათვის ორი ოთახი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ოთახები პატარეებია და თანაც სამუდამოთ ვერ ემსახურებიან სამკითხველოს. ამიტომაც კარგი იქნება, რომ ამ პატივცემულმა პირმა სამკითხველოსათვის საკუთარი შენობის შეძენა ითავოს.

ამ სოფელში თუმცა ქართველი კათოლიკენი სცხოვრობენ, მაგრამ წირვა-ლოცვა სომხურად აქვთ, რადგანაც სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვის ნება არა აქვთ. ასევეა ს.ს. ვალეში, არალში, თვით ახალციხეში და ს. ივლიტაში. ს. ივლიტაში სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები. ბ-ნი ფრონელის აზრი, ვითომ ს. ივლიტის კათოლიკენი ტომით სომეხნი არიანო, რადგანაც წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე აქვთო („ივერია“ № 15), სიმართლეს მოკლებულია.

ბაგრატ ბეჟანელი.

წერილი სიღნაღიდან

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, ამბობს ხალხი და მართლაც-და ზოგიერთ მავნე მიზეზს კაცი არ აცდენს ხოლმე თავიდან ვიდრე უბედურებას არ შეამთხვევს ეს მიზეზი. როცა შეემთხვევა რამე უბედურება, მაშინ კი ასტყდება ერთი ალიაქოთი, დავიდარაბა და ხშირად კი ამითი გათავდება ხოლმე საქმე და უბედურების გამომწვევი მიზეზი კი მიზეზად რჩება. ასეთსავე მდგომარეობაშია ჩავარდნილი ქალ. სიღნაღის ქუჩები. ვისაც სიღნაღი უნახავს, იმან იცის თუ რა ოღრო-ჩოღრო ქუჩებია აქ, თანაც ვიწრო და ზოგი ციცაბ-კლდის პირებზე. ზოგს ამ ქუჩის პირებზე მოაჯირები იყო უწინ გამართული და ბევრგანაც საჭირო იყო, მხოლოდ მის გაკეთებას დღითი-დღე აგვიანებდნენ. ვინ მოსთვლის, რამდენი უბედურება მომხდარა, რამდენს სტკენია ფეხი და სხვა, მაინც ქუჩების შეკეთება-შემაგრებაზე არავინ იტკივებს თავს. ამას წინათ ვიღაც სოფლელი ბიჭი მიჰქუდებოდა თურმე ერთს უმთავრეს ქუჩაზე გამართულ მოაჯირს, ეს მოაჯირი კი დაძველებული გამოდგა, ვერ დაიმაგრა და ორი საჟენის სიმაღლიდან ძირს, მეორე ქუჩაში, ჩავარდა. ეხლა კიდევ, ამ დღეებში, ორი ჩანდილოსანი ჩავარდა მეორე ქუჩიდან და ლამის გამოუსალმნენ ამ წუთი-სოფელს და თავიანთ ოჯახობას მერე მივარდნილი ქუჩა კი არ გეგონოთ ეს სახიფათო ქუჩა, არა, ერთი უმთავრეს ქუჩათაგანია; ამ ქუჩაზე სცხოვრობენ და ამ გზაზე დადიან: მომრიგებელი მოსამართლე, ნოტარიუსი, მომრიგებელ მოსამართლის ბოქაული და რამდენიმე სხვა მოხელე; აქვე მდებარეობდა უწინ სამხედრო საკრებულო და აქვეა ნოტარიუსის კონტორა ეხლაც. გვეგონა, ამ უბედურების შემდეგ (გადაცვივნილი ქალები ძალზე დაიჩეჩქნენ) მაინც მიაქცევდნენ ამ ქუჩას და სხვებსაც ყურადღებას და სახიფათო ალაგას მაინც გამართავდნენ მოაჯირებს ან უბრალოთ ხეებს მაინც გადასდებდნენ, რომ უბედურება აღარ გამეორებულიყო, მაგრამ ყურიც არავის გაუბერტყია. ან კი ვინ გააკეთებს—ქალაქის მამასახლისი აქამდინ არას აკეთებდა და ეხლა ხომ ყველას იმას უპასუხებს, რომ მე გამოცვლილი ვარ და ვინც ახალი გეყოლებათ ის გაგიკეთებთო. დიახ გამოცვლილია, მაგრამ ვიდრე სხვას დაამტკიცებენ მანამ რა ვქნათ რომ სულ უგზო-უკვლოობით თავ-პირი ჩაგვამტვრიონ. ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავსო, რატომ ამ დალოცვილ ქალაქის ამორჩეულთ ერთხელ არ მიუციათ ანგარიში თავიანთ სინიდისისთვის თუ რა გაუკეთეს ქალაქს ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში.

შორეული.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 იანვარი. *)

მოსკოვი. თავადაზნაურთა კრებამ დაადგინა: ხელმწიფე იმპერატორის ტელეგრამა, რომელიც თავად-აზნაურობამ მიიღო უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოთქმის პასუხად, ოქროს ასოებით დასწერონ მარმარილოს ფიცარზე, მოათავსონ იგი თავად-აზნაურთა პანსიონ-თავშესაფარის სააქტო დარბაზში.

მოსკოვის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს თავადი გოლიცინი.

მოსკოვი. პალატაში აპელიაციურის წესით გაარჩიეს საპატიო მოქალაქის ლისეცკის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის სახელი დაირქვა, ჩაიცვა სტუდენტის ფორმა და ფულებსა სტყუებდა ნიჟნი ნოვგოროდის ქველ-მოქმედებს; ამასთანავე ყოველივე გამოკითხვა რომ თავიდან აეცილებინა, ექიმის მოწმობას აჩვენებდა ხოლმე, ვითომ ყრუ არის. პალატამ ლისეცკის ერთის თვით ციხე გადაუწყვიტა.

ბელგრადი. საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი, ერთ-ერთი საერო კრების ყოფილი თავმჯდომარე და რადიკალურის პარტიის ერთის დასის ხელმძღვანელი კოსტა ტაგანოვი ფიუმეში გარდაიცვალა.

ნოვოჩერკასკი. წუხელის გაიარეს სამხრეთისაკენ მათმა უმაღლესობამ პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძემ და პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასულმა ოლდენბურგელებმა.

კიევი. მიხეილ ჩერქეზის საქმე გადაიდვა, რათა დაწვრილებით გამოიკვლიონ სულიერი მდგომარეობა ბრალდებულისა.

ოდესა. გემის „ცესარევნა“-ს გადარჩენის იმედი არ არის. ბურგასის ახლო ქვაზე გაირიყა, რის გამოც დაზიანდა. რუსეთის საზოგადოებამ გაგზავნა საშველად გემი „ცარიცა“, ხოლო ბოლგარიის მთავრობამ ბურგასიდან გაგზავნა გემი „ბოლგარია“, რათა გადმოიყვანოს მგზავრები და ფოსტა გადმოიღოს.

ბუდაპეშტი. ოფიციალური გაზეთი „მადიარ ნემზეტი“ ამბობს: თანაგრძნობის მანიფესტაციები ნათლად ამტკიცებენ, რომ ერცჰერცოგს პეტერბურგში გულითადათ მიეგებნენ. „ჰპაცან“-ი ამბობს: „რუსეთის იმპერატორის დიდსულოვანს გადაწყვეტილებას, რომ უნგრეთს გაეგზავნოს ძვირფასი ნაციონალური ნაშთი—ფრანც რაკოჩის ხმალი—უნგრელები უღრმესის მადლობით მიეგებნენ; ამის გამო მთელი მხარე, სასიხარულო ნუგეშებით აღვსილი, მიესალმება ტახტის მემკვიდრის პეტერბურგში წასვლას, რათა ამ მგზავრობით განამტკიცოს ურთი-ერთი მეგობრობა“.

ლონდონი. „სენ ჯემს გაზეთ“-ის თანამშრომელთან ლაპარაკის დროს ტატიშჩევმა სთქვა, რომ ინგლისთან სავაჭრო შეთანხმება პეტერბურგის ოფიციალური სფერების გულწრფელ სურვილს შეადგენს. სავაჭრო განწყობილება ამ ორ სახელმწიფოთა შორის თან და თან იზრდება და შემდეგში უფრო იმატებს, რადგანაც ბრიტანიის და რუსეთის ნაწარმოები ერთმანეთს არ ეცილებიან. უეჭველია, რუსეთის სასოფლო მეურნეთა ლონდონში ყოფნა კარგ შედეგს იქონიებს.

28 იანვარი

პეტერბურგი. 26 იანვარს საზამთრო სასახლის დარბაზში გაიმართა სადღესასწაულო სადილი ერცჰერცოგის ფრანც-ფერდინანდის პატივსაცემლად; სადილზე ხელმწიფე იმპერატორმა და ერც-ჰერცოგმა ერთმანეთის სადღეგრძელო მიირთვეს და სიტყვები წარმოსთქვეს.

27 იანვარს სასახლის ეკკლესიაში წირვის დასრულების შემდეგ გაიმართა საუზმე, რომელზედაც მიწვეული იყო ფრანც-ფერდინანდი თავის ამალით.

27 იანვარს ერცჰერცოგმა მიიღო ქალაქ პეტერბურგის დეპუტაცია; ქალაქის თავმა პურ-მარილი მიართვა.

27 იანვარს ქართველ თავად-აზნაურთა დეპუტაციის პატივსაცემლად პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გამართა საუზმე.

თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზში პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურთ ხელმწიფე იმპერატორის სახელით გაუმართეს სადილი გუბერნატორის თავმჯდომარეობით. სადილზე მიპატიჟებული იყო ქართველ თავად-აზნაურთა დეპუტაცია.

27 იანვარს, საღამოს, თავად-აზნაურთა საკრებულოს სადგომში გაიმართა ბრწყინვალე ნადიმი ქართველ თავად-აზნაურთა დეპუტაციის პატივსაცემლად. დარბაზი მშვენიერად იყო მორთული.

27 იანვარს მოხდა საზოგადო კრება „წითელი ჯვრის“ საზოგადოების წევრთა; კრებაზე განაცხადეს: ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა, რომ მოწყალების დებსა და ფელდშერ-ქალებს ამიერიდან პენსია მიეცემათ ხაზინიდან. მომავალ მაისში პეტერბურგს მოხდება საერთა-შორისო კრება „წითელი ჯვრის“ ყველა საზოგადოებათა წარმომადგენლებისა. ამ საგნისათვის გადადებულია 50 ათასი მანათი.

ვარშავა. ვარშავის სასამართლო პალატაში მეორეთ განიხილეს ექიმის პრუიბოროვსკის საქმე. პალატამ გაამართლა ბრალდებული.—აკურთხეს მართლ-მადიდებელთა ეკკლესია სადომში.

მოსკოვი. 27 იანვარს აქსაკოვის სიკვდილის დღეს ბოლგარელმა სტუდენტებმა გვირგვინით შეამკეს განსვენებულის საფლავი; გვირგვინზე შემდეგი წარწერაა: „აქსაკოვს მოსკოვში მცხოვრებ ბოლგართაგან“. სლავიანურ საზოგადოების დეპუტაციის გვირგვინს ჰქონდა წარწერა—„დიდებულ მებრძოლს სლავიანთათვის“.

ვენა. „ფრემდენბლატი“ აღნიშნავს ტრადიციონულ მშვენიერ განწყობილებას ორივე სამეფო სახლისას და აგრეთვე თანაგრძნობას რუსულ პრესისას, რომლის გულ-წრფელი კილო ამტკიცებს, რომ რუსეთის საზოგადოებრივ აზრმა მიმართულება შეიცვალა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ერცჰერცოგის რუსეთში მოსვლამ რომ ასე შესცვალა რუსეთის საზოგადოების აზრი, ამას არა მცირედი მნიშვნელობა აქვს. „ნოიეს ვინერ ტაგებლატ“-ს ის დასკვნა გამოჰყავს რუსულ გაზეთების წერილებიდან, რომ გაზეთები დარწმუნებულნი არიან ორის იმპერიის მეგობრულ განწყობილებაში.

კილი. რუსეთის კრეისერი „ასკოლდი“ ლიბავაში წავიდა.

ვაშინგტონი. პრეზიდენტი რუზველტი გროტონში წავიდა უფროსს შვილთან, რომელიც ანთებით არის ავად.

მოსკოვი. ხაზინამ მოსპო 5 მილიონის დავა ს. ი. მამონტოვთან, იმ პირობით, რომ მამონტოვს თავის მხრივ არ ექნება არავითარი პრეტენზია ხაზინასთან.

ხერსონი. გუბერნიის წარმომადგენელმა გაიცილეს გუბერნატორი თ. ობოლენსკი.

კიევი. სამოსწავლო ოლქის სამმართველოსთან იხსნება პედაგოგიური მუზეუმი პედაგოგიურ ბიბლიოთეკით.

სარატოვი. საქალაქო ბანკმა მიიღო გასულ წელს წმინდა მოგება 71,000 მან. და საურთიერთო კრედიტის ბანკმა კი 76,000.

როსტოვი დონზე. ნოქართა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება აარსებს სავაჭრო სკოლას. საბჭომ გადასწყვიტა დაარსოს ტელეგრაფის კურსები.

არხანგელსკი. დაიწყეს ქ. კემისაკენ გზის კეთება. სიგრძე იქმნება 212 ვერსტი და ეღირება 100.000.

ლოძი. თებერვლის დამლევს პეტროკოვში დაიწყება იარმუკობა.

კიევი. აკურთხეს ქარაიმების სინაგოგა.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 25 იანვარს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზე	93,95
ბერლინზე 100 მარკაზე	—
პარიზზე 100 ფრანკზე	—
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლი შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	468 მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$374^1/_2$ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	273 „
$3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	89 გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურკლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მომავალ მატარებელით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

---

*) ტელეგრაფის გაფუჭების გამო დაგვიანებულია.

Дозволено цензурою Тифлисъ, 28 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.